

წალკის მუნიციპალიტეტში ჩასახლებულ ეკომიგრანტთა კვლევის ანგარიში

კვლევა განხორციელდა პროექტ „აჭარის რეგიონში სოციალურად დაუცველთა და ეკომიგრანტთა განსახლების პროცესის მონიტორინგი“-ს ფარგლებში.

პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია: ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“.

პროექტი ხორციელდებოდა ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

კვლევის მიზანი: კვლევა მიზნად ისახავდა წალკის მუნიციპალიტეტში აჭარის ა.რ.-ისა და საქართველოს სხვა რეგიონებიდან ჩასახლებული ეკომიგრანტების შესახებ დეტალური ინფორმაციის აკუმულირების მეშვეობით ეკომიგრანტებთან მიმართებაში გამჭვირვალე, სამართლიანი სამთავრობო პოლიტიკის ფორმირების ხელშეწყობა.

კვლევის მეთოდოლოგია:

კვლევის ჩატარებისათვის შემუშავებულ იქნა, როგორც ღია, ასევე დახურული კითხვებისაგან შემდგარი ანკეტა. ანკეტა ორიენტირებული იყო, როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისობრივი კვლევის ტიპზე.

კვლევა განხორციელდა პირისპირი ინტერვიუს მეთოდით, რომელიც რესპოდენტისა და ინტერვიუერის უშუალო კონტაქტს გულისხმობს. კვლევის პროცესი ჩალრმავებული ინტერვიუს გამოყენებით საკვლევი საკითხის შესახებ დეტალური და ამომწურავი ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლეოდა, რომლის აღწერაც ხორციელდებოდა, როგორც ძირითად ანკეტაში, ასევე ინტერვიუერის დამატებითი შენიშვნების ბლანკში.

ჩალმავებული ინტერვიუს მეთოდი შედარებით მეტ დროს მოითხოვდა და ერთ რესპოდენტთან ინტერვიუს ხანგრძლივობა 30-დან 40 წთ-მდე გრძელდებოდა.

კვლევის ამოცანების თავისებურებებიდან გამომდინარე ინტერვიუერები პირისპირ გამოკითხვებს სხვადასხვა ადგილებზე ახორციელებდნენ, მათ შორის:

- რესპოდენტთა სახლში;
- თემებისა და სოფლების თავშეყრის ადგილებში;
- საჯარო დანესებულებებში.

კვლევის გეოგრაფიული არეალი:

წალკის მუნიციპალიტეტის 24 სოფელი

კვლევაში მონაწილე რესპოდენტთა რაოდენობა:

- 232 ეკომიგრანტი ოჯახი;
- 24 სოფლის რწმუნებული;
- 20 ადგილობრივი ბერძენის ოჯახი;

კვლევის ჩატარების პერიოდი - 2013 წლის დეკემბერი.

არსებული სიტუაციის მოკლე ანალიზი

საქართველო ბუნებრივი კატასტროფების სიხშირის მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება. გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ბოლო წლებში სტიქიების მასშტაბები მკვეთრად გაიზარდა და უფრო მეტ აქტივაციას განიცდის. ყოველივე ეს კი აისახება ეკომიგრანტების განსაკუთრებით დიდ და მზარდ რაოდენობაში (ეკომიგრანტებში მოიაზრებიან რისკის ზონაში მცხოვრები ოჯახებიც, რომელთა სახლები ოფიციალურადაა შეფასებული, როგორც დანგრეული, ან საცხოვრებლად უვარგისი და არაადგენადი). სტიქიისგან დაზარალებული ან რისკის ქვეშ მყოფი ოჯახების განსახლება და მათი სოციალური დაცვა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. სახელმწიფო ყოველწლიურად ასამდე ოჯახის განსახლებას ახერხებს. თუმცა, განსახლების თანხები 2012-1013 წლების ბიუჯეტში - არც რეგიონის და არც ცენტრალურ ბიუჯეტში - საერთოდ არ ყოფილა გათვალისწინებული.

ადგილნაცვალი პირები განსახლების შემდეგაც საზოგადოების უღარიბეს სეგმენტად რჩებიან. მძიმე მდგომარეობაშია 1990-იანი წლების შემდეგ განსახლებული ოჯახების ერთი ნაწილი. არ არსებობს სახელმწიფოს ხედვა და სტრატეგია მათი პრობლემების გადასაჭრელად. საქართველოს კანონმდებლობა სტიქიების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირებს საერთოდ არ ცნობს.

განსახლების პროცესი, რომელიც საქმიანობათა ფართო სპექტრს მოიცავს, დღეისათვის ქაოტური და არასისტემურია. ბუნებრივი კატასტროფებისა და მიგრაციის საკითხების მართვის სისტემის არარსებობა სწორედ სახელმწიფო ფინანსების არაეფექტური ხარჯვისა და მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალის მიზეზი ხდება. რაც შეეხება ტვირთს, თუკი სახელმწიფო გრძელვადიან სტრატეგიას შეიმუშავებს, ტვირთიც ხანგრძლივ პერიოდზე გადანაწილდება, ქვეყანას კი უმწვავესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები მოეხსნება.

ეკომიგრაციული პროცესების სახელმწიფო რეგულაცია 2 ეტაპს მოიცავს:

- ეკომიგრანტების განსაზღვრა, რეგისტრაცია და განსახლების ორგანიზება;
- შემდგომი ადაპტაცია-ინტეგრაციის ღონისძიებების განხორციელება.

ეკომიგრაციის სახელმწიფო რეგულაციაში იკვეთება რამდენიმე არსებითი სახის პრობლემური ასპექტი. პირველ რიგში, ეკომიგრანტებთან დაკავშირებით ქვეყანაში შექმნილია იურიდიული ვაკუუმი, არ არსებობს ეკომიგრანტთა სამართლებრივი სტატუსისა და სოციალური გარანტიების განმსაზღვრელი საკანონმდებლო რეგულაცია. გარდა ამისა:

- ერთიანი პოლიტიკის, კანონმდებლობის, სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმების გარეშე განხორციელებული ღონისძიებები სპონტანური და ერთჯერადია, მისთვის გამოყოფილი თანხების ხარჯვა კი - არაეფექტური.
- განსახლების პროცესი მკაცრად ცენტრალიზებულია. კომპეტენციები თავმოყრილია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში, რომელსაც ამ კომპეტენციების შესრულებისთვის არც ადამიანური და არც ფინანსური რესურსი არ გააჩნია.
- ბენეფიციარების მხრიდან სახელმწიფო დახმარების მიღება არსებითად დამოკიდებულია სახლ-კარის დაზიანების კატეგორიების მინიჭებაზე, კატეგორიზაციის

სისტემა კი სრულიად მოშლილია. თვითმმართველობები, რომლებიც სახლების დაზიანების ხარისხის შესახებ ინფორმაციის ერთად-ერთ წყაროს წარმოადგენენ, ხშირად არ არიან ინფორმირებული აღნიშნული სისტემის და საკუთარი კომპეტენციების შესახებ.

- განსახლების შესახებ ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ეყრდნობა არასპეციალისტების მიერ ჩატარებულ ვიზუალური შეფასებებს, როცა ამ პროცესში საერთოდ არ არის გათვალისწინებული გარემოს ეროვნული სააგენტოს ხელთ არსებული დეტალური ინფორმაცია საფრთხეებისა და რისკების შესახებ.
- გადაწყვეტილების მიღებისას არ განიხილება ე. წ. ადგილმონაცვლეობა, რაც გულისხმობს ეკომიგრანტისთვის საცხოვრებელის გამოყოფას თემის ან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.
- თვითმმართველობებს, რომლებსაც მეტი ინფორმაცია აქვთ როგორც პრობლემების, ასევე მისი გადაჭრის შესაძლებლობების შესახებ და ამასთან, პრობლემის მოგვარება გაცილებით იაფად და ეფექტურად შეუძლიათ, არ გააჩნიათ შესაბამისი კომპეტენცია და ფინანსები.
- სახელმწიფოს არ აქვს განსაზღვრული, რა შემთხვევაშია მიზანშეწონილი დაზარალებული ოჯახებისათვის ფინანსური დახმარების განწევა და რა შემთხვევაში – მათი განსახლება.
- არ ხდება კოორდინირება განსახლებისა და დაზარალებული მოსახლეობისთვის ფულადი კომპენსაციების გაცემის პროცესს შორის, რომელსაც ადგილობრივი თვითმმართველობა ახორციელებს. ეს კი თანხების არამიზნობრივი ხარჯვის მიზეზი ხდება.
- კატეგორია ენიჭება უკვე მომხდარი სტიქიისგან დაზარალებულ სახლს და არ ხდება რისკის შეფასება. პრაქტიკა კი ადასტურებს, რომ ხშირად მაღალი რისკის ზონაში მცხოვრები ოჯახების განსახლება უფრო აუცილებელია, ვიდრე უკვე დაზიანებულ სახლებში მცხოვრები ოჯახების.
- ბუნდოვანია, რა კრიტერიუმებით ხდება კატეგორიების განსაზღვრა – მხოლოდ დაზიანების შეფასებით თუ სხვა ასპექტების, მათ შორის, ოჯახის სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებითაც.
- გარემოს ეროვნული სააგენტო 2004 წლის შემდეგ აღარ ახორციელებს პროგრამულ გეოლოგიურ მონიტორინგს. შედეგად, ხელისუფლებისთვისაც და ადგილობრივი მოსახლეობისთვისაც უცნობია საშიში ბუნებრივი პროცესების დინამიკა, რისკები, საფრთხეები და პროგნოზი.
- არ არის რეგლამენტირებული და განწერილი, თუ საცხოვრებელი სახლის დაზიანების ხარისხის მიხედვით, რომელი კატეგორიის ოჯახს რა ოდენობის ფინანსური დახმარება გაწევა და რა კრიტერიუმებით განისაზღვრება ეს თანხა. აჭარის ა/რ-ის მუნიციპალიტეტები ამ მიმართულებით მეტ-ნაკლებად იდენტურ პოლიტიკებს აწარმოებენ თუმცა ეს არ არის განპირობებული სახელმძღვანელო პრინციპების ქონით და რაც მთავარია საკუთრივ ეს ერთიანად წარმოებული პროცესი სამართლიანობისა და ეფექტურობის კონტექსტში იმსახურებს არსებით გადახედვას.

- სახელმწიფოს მხრიდან განსასახლებელ ოჯახებთან არ ტარდება სათანადო წინასწარი საკომუნიკაციო ღონისძიებები, რის გამოც ჩასახლების ადგილებში არსებული ვითარების შესახებ მათ აქვთ სერიოზული ინფორმაციული დეფიციტი, ვერ აცნობიერებენ თუ რა სახის ახალ რეალობაში მოუწევთ ცხოვრება, ეს კი განსახლების შემდგომ ადაპტაციის პროცესს მნიშვნელოვნად აფერხებს, რაც უკუმიგრაციული პროცესების მასტიმულირებელ გარემოებად იქცევა. რისი თვალსაჩინო მაგალითიც წალკის მუნიციპალიტეტის მიმართულებით 1997-2011 წლებში მიმდინარე განსახლების პროცესია.
- არ ხდება მიმღები თემების წინასწარი ინფორმირება და შემზადება შესაძლო კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად. შედეგად კლანური მართვის პრაქტიკა თვისი მანკიერი გამოვლინებების განსაკუთრებულ სიმკაცრეს სწორედ ახალმიღებულ თემებთან მიმართებაში აღწევს; ამდენად, განსახლებული ოჯახები საარსებო წყაროსა და ყოველგვარი სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გარეშე რჩებიან;
- მძიმე პირობების გამო განსახლებულები დანგრეულ სახლებში ბრუნდებიან. ან ქმნიან ახალ უკანონო დასახლებებს;
- კომპენსაციის თანხები ხშირად არამიზნობრივად იხარჯება და ოჯახები, რომელთაც დახმარება გაენიათ, ისევ დანგრეულ სახლებში ცხოვრობენ.


ყველაზე მასშტაბური უკუმიგრაციის ფაქტი 2013 წლის მაისის თვეში დაფიქსირდა, როცა ქვემო ქართლის რეგიონში (წალკის მუნიციპალიტეტში) ჩასახლებული 200-ზე მეტი ეკომიგრანტი ოჯახი, სოციალური პრობლემების გადაუწყვეტელობის გამო, კვლავ მშობლიურ რეგიონში - აჭარაში დაბრუნდა, სადაც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ობიექტები თვითნებურად დაიკავეს და ეს საკითხი დღემდე გადაუწყვეტელ პრობლემად რჩება. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ეკომიგრანტთა ჩასახლება ძირითადად ეროვნული უმცირესობების - სომხების, აზერბაიჯანელების, ბერძნების, დუხობორების, ქისტების, ოსების დასახლების ზონებში ხდება. ახალმოსახლე ეკომიგრანტებსა და ადგილობრივ თემებს შორის სათანადო კომუნიკაციის და საინტეგრაციო პროგრამების ნაკლებობის ფონზე კი მათ შორის ეთნიკური, რელიგიური და კულტურული განსხვავებები ხშირად სხვადასხვა სახის სოციალურ კონფლიქტებში გადაიზრდება, რომელთა სიხშირემ ბოლო წლებში საგრძნობლად იმატა და ვალევიების შემთხვევაში მათი უფრო ფართო მასშტაბის კრიზისებში გადაზრდის საფრთხეს ქმნის.

კვლევის ანალიზი

კომისიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით წალკის მუნიციპალიტეტში ჩასახლებულ ეკომიგრანტთა ზოგადი სურათი შემდეგნაირად გამოიყურება:


- სულ წალკის მუნიციპალიტეტში ჩასახლებულია 2422 ეკომიგრანტი ოჯახი;
- მ.შ. აჭარის ა.რ.-დან ჩასახლებული ეკომიგრანტების რაოდენობა 2324 ოჯახია
- ეკომიგრანტი ოჯახებისათვის სახელმწიფოს მიერ შესყიდული სახლების რაოდენობა 566-ია;

ორგანიზაციის კვლევის შედეგების მიხედვით ეკომიგრანტთა განსახლების ადგილი შემდეგნაირად გამოიყურება:




გამოკითხულთა 80 %-ს თავისი პირვანდელი საცხოვრებელი ადგილი დატოვებული აქვს ეკოლოგიური პრობლემების გამო (მათ უმრავლესობას გააჩნიათ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ გაცემული გეოლოგიური დასკვნა), თუმცა არსებულ პრობლემასთან ერთად მწვავედ დგას ისეთი პრობლემები, როგორცაა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და ე.წ. „განაწილების“, ანუ მრავალწევრიანობის პრობლემები. ოჯახების უმრავლესობაში გვხვდება პრობლემათა კომბინაცია.

განსახლების მიზეზები:




წალკის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის განსახლების პროცესი 1998 წლიდან დაიწყო და დღემდე მზარდი ტენდენციით გრძელდება. როგორც მოსახლეობა აცხადებს განსახლებული ოჯახების უმრავლესობას, 65 %-ს საცხოვრებელი ადგილი შეცვლილი აქვს სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში. ხოლო დანარჩენ ნაწილს კი ე.წ. მიმბაძველობის საფუძველზე, თუმცა მოცემულ 35 %-შიც მწვავედ დგას ზემოაღნიშნული პრობლემები.

განსახლების დინამიკა წლების მიხედვით




განსახლების პროცესის სახელმწიფო როლი (ოჯახების განსახლება განხორციელდა):




კვლევის უმთავრეს მიზანს შეადგენდა ეკომიგრანტი ოჯახების საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლა. არსებული პრობლემების რანჟირების შედეგად უმსხვილეს პრობლემებად გამოიკვეთა მინისა და საცხოვრისის პრობლემა. რაც შეეხება სოფელში არსებულ პრობლემებს მნიშვნელოვანი წვლილი მოდის ინფრასტრუქტურულ პრობლემებზე. უმნიშვნელო დოზით, მაგრამ მაინც ფიგურირებს კონფლიქტები ადგილობრივ ეთნიკურ უმცირესობებთან და სხვა რეგიონებიდან ეკომიგრირებულ მოსახლეობას შორის.

ეკომიგრანტთა ოჯახებში არსებული პრობლემები




ეკომიგრანტთა განსახლების სოფელებში არსებული პრობლემები




როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ეკომიგრანტთა საკმაოდ დიდ ნაწილს გააჩნია საცხოვრისის პრობლემა, გამოკითხულ ეკომიგრანტთა 83 %-ს საცხოვრებელი სახლი არა აქვს შესყიდული მისი კანონიერი მესაკუთრისაგან და ცხოვრობენ იჯარით, სახლის მოვლის პირობით და რიგ შემთხვევაში უკანონოდ. რის გამოც ოჯახთა ნაწილს წლების განმავლობაში უწევთ საცხოვრებლის შეცვლა სახლის სამართლებრივი მესაკუთრის მოთხოვნის საფუძველზე.

ოჯახის სარგებლობაში არსებული სახლი




სახლის საკუთრების ფორმა



მიუხედავად სახელმწიფოს მიერ სახლების შესყიდვის პრეცედენტებისა ოჯახებისთვის დღესაც არ მომხდარა მათი გადაფორმება ეკომიგრანტი ოჯახებისათვის და არსებული სახლები კვლავ სახელმწიფო ბალანსზეა, რაც მოსახლეობას პოტენციურ საფრთხედ ესახებათ.

სახლით სარგებლობის პირობა




არსებული სიტუაციისათვის ეკომიგრანტ ოჯახთა უმრავლესობა სახლში ცხოვრობს მკაცრად განსაზღვრული ვადით, რის შემდეგაც ემუქრებათ თავშესაფრის გარეშე დარჩენა და ახალი თავშესაფრის ძიება, რის ნათელ მაგალითადაც გვევლინება მოსახლეობის მიერ სახელმწიფოს ბალანსზე არსებული შენობების დაკავება და გამოყენება საცხოვრებლად.

რაც შეეხება მეორე ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას ზოგადად წალკის მუნიციპალიტეტში ეს არის მიწის პრობლემა.

საქართველოს მთიანი რეგიონებიდან, ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გადასვლა და განსხვავებულ ბუნებრივ-კლიმატურ გარემოში ცხოვრების გაგრძელება ეკომიგრანტთა წინანდელი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის სტრუქტურის (საქმიანობის ფორმა, მეთოდი, შრომის ინტენსივობა, მოსაყვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურები) არსებით შეცვლას იწვევს. იმ პირობებში კი როცა ახალ განსახლებებში ეკომიგრანტთა სასოფლო-სამეურნეო რესურსები უაღრესად მწირია, ამ კუთხით სახელმწიფოს დახმარების ხარისხი კი ძალზედ დაბალი, ახალ სტრუქტურაზე გადასვლა ეკომიგრანტთათვის მეტად რთულდება და ეს უარყოფითად აისახება მათ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რადგან ეკომიგრანტთა ძირითადი შემოსავლის წყარო სწორედ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაა.


მოგეხსენებათ წალკის მუნიციპალიტეტი თავისი კლიმატური პირობებიდან გამომდინარე გახლავთ სოფლის მეურნეობის მიმდევარი მუნიციპალიტეტი. მოსახლეობის დიდი ნაწილი თვითდასაქმებულია და მისდევს სოფლის მეურნეობას. უნდა აღინიშნოს, რომ არსებულ დარგში თვითდასაქმებისათვის და საარსებო მინიმუმის გამომუშავებისათვის საჭიროა დაახლოების 3 ჰა მიწის ნაკვეთი. თუმცა 3 ჰა-ზე მეტი მოცულობის მიწის ნაკვეთი ეკომიგრანტი ოჯახების მხოლოდ 1 %-ს გააჩნიათ.

ეკომიგრანტი ოჯახების საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მოცულობა




მოსახლეობის 85% საკუთრებაში ფლობს 1 ჰა-მდე მიწის ნაკვეთს, რომელთა დიდი ნაწილი მიღებული აქვთ სახელმწიფოსგან უსასყიდლოდ, ე.წ. „პრეზიდენტის საჩუქარის“ სახით. არსებული ნაკვეთები თავის მხრივ ნაკლებვარგისიანია ხვნა-თესვისათვის.

ეკომიგრანტი ოჯახების სარგებლობაში არსებული მიწა




მიწის სიმცირის გამო ვერ ხერხდება მიწის ეფექტური გამოყენება და ხშირ შემთხვევაში ერთი მიწის ნაკვეთის გამოყენება ხდება, როგორც ხვანა-თესვისათვის, ასევე სათიბად და საძოვრებად.


ხვანა-თესვისათვის განკუთვნილი მიწის ფართობი



თიბვისათვის განკუთვნილი მიწის ფართობი




საძოვრებისათვის განკუთვნილი მიწის ფართობი



საკუთრებაში არსებული მიწების სიმცირის პრობლემა განპირობებულია არა მიწის ფართობების არ არსებობით, არამედ იმ ფაქტორით, რომ მიწების დიდი ნაწილი კერძო არენდატორების ხელშია, რომლებმაც პირდაპირი შესყიდვის წესით მინიმალურ ფასად შეისყიდეს მიწები.

მიწის სიმცირის გამო მოსახლეობის ნაწილი სარგებლობს ადგილობრივი მესაკუთრეების მიწის ფართობით.


ეკომიგრანტების მიერ ადგილობრივი მესაკუთრეების მიწით სარგებლობის პირობა



ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა ეკომიგრანტებზე მიწების ღირებით სარგებლობაში გადაცემის ფაქტები, რაც ეკომიგრანტთა მოსაზრებით მათ მიმართ ნეგატიური დამოკიდებულებით არის განპირობებული.

ეკომიგრანტი ოჯახების მიერ საკუთარი პრობლემების მოგვარების გზების და მოთხოვნების ფორმირება ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად შეიცვალა. ჩვენ მიერ ჩატარებული სატელეფონო კვლევის შედეგების მიხედვით პრობლემების მოგვარების გზებს შორის ეკომიგრანტის სტატუსის მინიჭება და იურიდიული ასპექტების დახვეწა საკმაოდ დაბალ წილს იჭერდა საერთო მაჩვენებელში. გასულითი კვლევის შედეგებმა კი გვიჩვენა, რომ სხვა პრობლემების მოგვარებისა და ქმედითი ნაბიჯების გადადგმის პარალელურად მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ეკომიგრანტის სტატუსის მინიჭების საკითხი.

პრობლემის მოგვარების გზები



დასკვნები და რეკომენდაციები

ყოველივე ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე, აუცილებელია სახელმწიფოს შესაბამისმა ორგანოებმა მოახდინონ სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რომელიც მიმართული იქნება ეკომიგრანტთა სოციალურ-სამართლებრივ მდგომარეობის შეცვლისა და გაუმჯობესებისაკენ. კერძოდ კი სახელმწიფოს მხრიდან უნდა განხორციელდეს შემდეგი თანმიმდევრული ღონისძიებები:

- ✓ **კანონპროექტის მომზადება**, რომლითაც განისაზღვრება ეკომიგრანტის, როგორც სტიქიური მოვლენის შედეგად ადგილმაცვალის ან ასეთი საშიშროების წინაშე მყოფი პირის სამართლებრივი დეფინიცია და ის სოციალური გარანტიების სისტემა, რომელიც ამ კატეგორიის პირთა ჯგუფის მიმართ ამოქმედდება. ეკომიგრანტთა სტატუსისა და სოციალური გარანტიების განმსაზღვრელი საკანონმდებლო აქტის მიღებით შესაძლებელი გახდება, რომ ეკომიგრანტთა მიმართ დასრულდეს დისკრიმინაციული დამოკიდებულება და ისინი სამართლებრივი რეგულაციის ფარგლებში მოექცნენ;
- ✓ **ეკომიგრაციული პროცესების მართვის გრძელვადიანი სტრატეგიისა და მიმდინარე მოკლევადიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება**, რომლითაც დეტალურად განისაზღვრება ეკომიგრაციის მენეჯმენტის თითოეული კომპონენტი და ეკომიგრაციის სფეროში სახელმწიფო რეგულაციების კომპლექსური სისტემა;
- ✓ **ეკომიგრანტთა ერთიანი მუდმივგანახლებადი საინფორმაციო ბანკის შექმნა**. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ორგანიზებითა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მონაწილეობით, რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით აღირიცხოს ეკომიგრანტი ოჯახების რაოდენობა და მოხდეს მათი გაერთიანება საინფორმაციო ბანკში. იმავედროულად შეიქმნას „ეკომიგრაციის ინტერაქტიული რუკა“, რომელიც მუდმივად განახლებად რეჟიმში ასახავს ეკომიგრანტთა სტატისტიკურ რაოდენობას და ეკომიგრანტთა ნაკადების გეოგრაფიული გადაადგილების დინამიკას მთელი ქვეყნის მასშტაბით;
- ✓ **ახალ განსახლებებში ეკომიგრანტთა ადაპტაცია-ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობის პროგრამების შემუშავება**, რომელთა საფუძველზეც, ერთის მხრივ სახელმწიფო დაეხმარება ეკომიგრანტებს ახალ საცხოვრებელ პირობებთან შეგუების პროცესში, ხოლო მეორეს მხრივ უზრუნველყოფს ახალმოსახლე ეკომიგრანტებსა და ადგილობრივ თემებს შორის გაუცხოების შემცირებას და ინტეგრაციული პროცესების სტიმულირებას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ეკომიგრანტებსა და ადგილობრივ ეროვნულ უმცირესობებს შორის აქტიური დიალოგის წარმართვაზე, რომელმაც უნდა მიიღოს სისტემატური ხასიათი და შექმნას შესაძლებლობა, რომ თავიდან იქნეს აცილებული პოტენციური სოციალური კრიზისები, დროულად მოხდეს მათი პრევენცია და თანამშრომლობის რეჟიმში დარეგულირდეს არსებული წინააღმდეგობები;

- ✓ განსახლების შემდგომ ეკომიგრანტთა ახალ საცხოვრებელ პირობებში ადაპტაციის ხელშეწყობისათვის, ზუსტად განისაზღვროს ეკომიგრანტებისათვის „სასტარტო პირობების პაკეტი“-ს მოცულობა, მათ შორის განხილული იქნეს ეკომიგრანტი ოჯახებისათვის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის მცირე უპროცენტო კრედიტების გაცემის საკითხი;
- ✓ ბოლო პერიოდში ქვემო ქართლში ბერძენი მესაკუთრეების მიერ საცხოვრებელი სახლებიდან გამოსახლებული ეკომიგრანტი ოჯახების რაოდენობის აღრიცხვა და მათი საყოფაცხოვრებო პირობებით დაკმაყოფილება დაჩქარებული წესით; ეკომიგრანტ ოჯახებს საკუთრებაში გადაეცეთ (შესაძლოა განსაზღვრულ პერიოდში გასხვისების უფლების შეზღუდვით) მათ ამჟამინდელ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი სახლები და მიწის ნაკვეთები, რათა მათ გაუჩნდეთ კუთვნილების შეგრძნება და ხელი შეეწყოს ადგილზე მყარად დამაგრებაში, იმავდროულად საკუთრების უფლების დაკანონებისთანავე უნდა გადაწყდეს იმ საცხოვრებელი სახლების სამართლებრივი კუთვნილების საკითხიც, რომლებიც მათ სტიქიის ზონაში დატოვეს;
- ✓ დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სისტემური პოლიტიკის შემუშავება სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა დახმარების უზრუნველსაყოფად. აუცილებელი თანხების მოპოვება, რათა გაიზარდოს საერთაშორისო ორგანიზაციების ფინანსური კონტრიბუცია ამ სფეროში, რაც უზრუნველყოფს პრობლემის მოგვარების დაჩქარებას.

ამდენად, აუცილებელია ეკომიგრაციის სფეროში სისტემური მიდგომების ჩამოყალიბება და სტრუქტურული პროგრამების განხორციელება, რათა ხელი შეეწყოს ეკომიგრანტთა სოციალურ-სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას და ამ სფეროში არსებული სახელმწიფო პოლიტიკის სრულყოფას.